



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 35

2013 წლის 18 თებერვალი

ქ. ხაშური

### არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “ხაშურსერვისი” დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

1. დაფუძნდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურსერვისი“.
2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “ხაშურსერვისი” წესდება (თან ერთვის).
3. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დანიშნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “ხაშურსერვისი” დირექტორი.
4. ამ განკარგულების მიხედვით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის 100%-ნი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული:
  - ა) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნათება“-ს ლიკვიდაცია;
  - ბ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სანიტარული დასუფთავების“ -ს ლიკვიდაცია;
  - გ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოაზისი 2008“-ს ლიკვიდაცია;
5. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ უზრუნველყოს ამ განკარგულების მე-4-ე პუნქტში აღნიშნული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორთა განთავისუფლება და ლიკვიდატორების დანიშვნა საწარმოთა სალიკვიდაციო დოკუმენტაციის მომზადებისა და ლიკვიდაციის პროცესის წარმართვისათვის;
6. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოახდინოს ამ განკარგულების აღსრულება.
7. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელისმოწერისთანავე.
8. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე



## არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

### „ხაშურსერვისი“

#### წესდება

##### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურსერვისი“ (შემდგომში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს აქვს ბეჭედი, შტამპი, ანგარიშწორებისა და სხვა სახის ანგარიშები სათანადო დაწესებულებებში.
5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურსერვისი“.
7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ელექტრონული ფოსტის მისამართია: [khashurservice@gmail.com](mailto:khashurservice@gmail.com)
8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N7.

##### მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნები და ამოცანები

###### 1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნებია:

- 1.1. აიპ-ი შექმნის ძირითადი მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა და მოიცავს შემდეგ სფეროებს:
  - 1.1.1. ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე დასახლებული პუნქტების ტერიტორიების კეთილმოწყობა, დასუფთავება, განათება და გამწვანება.
  - 1.1.2. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადგილობრივი ტყის ფონდის მოვლა-პატრონობა და რაციონალური მეურნეობის წარმოება;

1.1.3. დასახლებათა ტერიტორიების, ქუჩების, სკვერების, გამწვანების ობიექტების, მოედნების ტროტუარების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაგვა-დასუფთავება, გათოვლა, საოჯახო-სამეურნეო, საუოფაცხოვრებო, სამრეწველო და სხვა სახის (ნაგვი და გადაწყარი) ნარჩენების დახარისხების, გატანის, შეგროვებისა და ტრანსპორტირების ორგანიზება.

1.1.4. საამშენებლო-საპროექტო, საზედამხედველებო და საკადასტრო – აზომვითი საქმიანობა;

1.1.5. სანაგვე ურნების, კონტეინერების, ნარჩენების განთავსების ადგილების (ნაგავსაყრელების) მოვლა-პატრონობა და ნარჩენების გადასამუშავებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

1.1.6. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წესდებით განსაზღვრულ დარგებში მოქალაქეებისათვის, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საბინაო-კომუნალური მომსახურების ორგანიზება და მიწოდება;

1.1.7. მრავალბინიან სახლებში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და კომუნალური მომსახურების ცენტრების (სერვიზცენტრების) ორგანიზება;

1.1.8. ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების, მაგისტრალების, ქუჩების, გზების, საზოგადოებრივი ადგილების, სკვერების, პარკების, გამწვანებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების ქალაქგანათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, გარე განათების ქსელების პროექტირება, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია და შენობა-ნაგებობების დეკორატიულ-მხატვრული განათება.

1.1.9. სადღესასწაულო და სხვა ღონისძიებების მხატვრულ-დეკორაციული (სადღესასწაულო ილუმინაციები, დეკორაციები, დროშები, ბანერები, სცენები, ფეირვერკები, და ა.შ) და სხვა საჭირო ატრიბუტიკითა და გახმოვანება-განათებით უზრუნველყოფა;

1.1.10. ხაშურის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და ამ სფეროში მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელება-ხელშეწყობა;

## 1.2. აიპ-ი უფლებამოსილია განახორციელოს:

1.2.1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის, ფიზიკური და იურიდიული პირების საბინაო-კომუნალური მომსახურების უზრუნველყოფა; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახლისშიგა საინჟინრო კომუნიკაციების მომსახურების ორგანიზება;

1.2.2. შენობების გარე და შიდა საინჟინრო კომუნიკაციების ავარიული მომსახურების ორგანიზება და მათ ტექნიკურ მდგომარეობაზე მუდმივი ზედამხედველობა. სასმელი წყლის წნევის გამამლიერებელი კორპუსშიგა სატუმბი დანადგარებისა და მოწყობილობების ექსპლუატაცია და რემონტი. ლიფტების ექსპლუატაცია და რემონტი;

1.2.3. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების ორგანიზება და მათი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა.

1.2.4. შესაბამისი, პროგრამის, დავალების ან/და ხელშეკრულების საფუძველზე:

ა) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ფონდების - საცხოვრებელი სახლების და სხვა შენობა-ნაგებობების მოვლა – პატრონობა და დაზიანებების, ცვეთისა და სხვა ნაკლოვანებების გამოვლენის მიზნით, საერთო, ნაწილობრივი და რიგგარეშე ტექნიკური დათვალიერების ორგანიზება – ჩატარება;

ბ) განხორციელებული ტექნიკური დათვალიერებების შედეგების მიხედვით საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების (მ.შ. აღდგენა-გამაგრების) დაგეგმვის, შესაბამისი ხარჯთაღრიცხვებისა და პროექტების მომზადებისა და შეკეთების ჩატარების მიზნით დამფუძნებლისათვის სათანადო მასალების წარდგენა.

გ) უკანონოდ დაკავებული ადგილობრივი თვითმმართველობის კუთვნილი ფართებიდან, კანონმდებლობის შესაბამისად, გამოსახლებების საკითხებზე საჭირო ზომების მიღება.

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქალაქეთა ბინით დაკმაყოფილების აღრიცხვიანობის საქმის წარმოება. გამოთავისუფლებული ადგ. თვითმმართველობის კუთვნილი (მუნიციპალური) ბინების განაწილების შესახებ გამგეობისათვის მასალების და ინფორმაციის მომზადება.

ე) ხაშურის თვითმმართველობის საკუთრების წილების შესაბამისი უფლებებითა და ოდენობებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე, ხაშურის თვითმმართველობის საკუთრების წილიან მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ინდივიდუალურ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუშაობაში, სახლების მოვლა-პატრონობასა და ექსპლუატაციაში მონაწილეობის მიღება.

ვ) ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქუჩების, გზების, მოედნების და საგზაო ინფრასტრუქტურის სხვა შესაბამისი ობიექტების მოვლა-პატრონობის განხორციელება;

1.2.5. ქუჩებში და მრავალბინიან სახლებში ნაგავშემკრები ბუნკერებისა და კონტეინერების ტექნიკურად გამართული მდგომარეობის უზრუნველყოფის ორგანიზება.

1.2.6. დასახლებული პუნქტების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ტერიტორიების დაგვა-დასუფთავების ორგანიზაცია და ზედამხედველობა ამ ტერიტორიების სანიტარულ მდგომარეობაზე.

1.2.7. ნახმარი და ჩამდინარე წყლების მიღება და გაუვნებლობა;

1.2.8. საკანალიზაციო ქსელის, ჭების შენახვა, მოვლა-პატრონობა და ავარიების სალიკვიდაციო ღონისძიებათა განხორციელება;

1.2.9. მოსახლეობის და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციების საინფორმაციო საცნობარო მომსახურების უზრუნველყოფის საკითხები.

1.2.10. მაწანწალა და უპატრონო ცხოველების საიზოლაციო და სალიკვიდაციო ღონისძიებებისა და შესაბამისი დერატერიზაცია-დეზინფექციის სამუშაოების ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამუშაოების განხორციელება;

1.2.11. ზედამხედველობის მომსახურების განხორციელება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (დასახლებათა ქუჩებზე, მოედნებზე, ტროტუარებზე, საცხოვრებელ კორპუსებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე. შიგაკვარტალურ და შიგასაუბნო: გზებზე, გამწვანების ზოლებში, მიმდებარე ფერდობებზე, ხევებში და სხვა) არსებულ სანიტარულ მდგომარეობაზე. აგრეთვე მოზარდების სათამაშო მოედნების მოვლა-პატრონობაზე. საცხოვრებელი სახლებისა და სხვა შენობა-ნაგებობათა ტექნიკურ მდგომარეობაზე.

1.2.12. პარკების, სკვერების, გაზონების, სპორტული და სათამაშო მოედნების და სხვა შესაბამისი ტერიტორიების კეთილმოწყობის, მოვლა-პატრონობის და მათი განვითარების უზრუნველყოფა და შესაბამისი მომსახურების განხორციელება;

1.2.13. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების – პარკების, ბაღების, სკვერების, მოედნების ყვავილნარების, გაზონების, ქუჩის მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და შესაბამისი მომსახურების განხორციელება;

1.2.14. გამწვანების ობიექტების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების სამუშაოების ჩატარება, ახალი ობიექტების მშენებლობა.

1.2.15. ღია და დახურული საწვინარი და სანიაღვრე არხების, კოლექტორების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება, ახალი მშენებლობების წარმოება;

1.2.16. სანერგების მოწყობა, ადგილობრივი ტყის ფონდის რესურსების მოვლა, დაცვა, აღდგენა და გამოყენება;

1.2.17. ტყის ფონდის კულტურულ-გამაჯანსღებელი და სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებების შენარჩუნება და გაუმჯობესება;

1.2.18. მცენარეული საფარის და ცხოველთა სამყაროს ბიომრავალფეროვნების, ტყეში არსებული კულტურის და ბუნების ძეგლების, მცენარეთა იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი სახეობების და სხვათა შენარჩუნება და დაცვა;

1.2.19. ტყის რესურსების მეცნიერულად დასაბუთებული შესაძლებლობების საფუძველზე მათი მიზნობრივი, კომპლექსური და რაციონალური გამოყენებით მოსახლეობის ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;

1.2.20. მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ტყის უკანონო ჭრის, მფლობელობის და გამოყენების აღკვეთა;

1.2.21. დასახლებათა ტერიტორიების კეთილმოწყობა, მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება - რეაბილიტაციის უზრუნველყოფა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

1.2.22. საამშენებლო, საპროექტო სამუშაოების წარმოება, საკადასტრო-აზომვითი სამუშაოების წარმოება და მომსახურების ორგანიზება;

1.2.23. აიპ–ი აგრეთვე ახორციელებს დამფუძნებლის ინტერესებიდან და მისი დავალებებიდან გამომდინარე სხვადასხვა საქმიანობებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და ამ წესდებას.

1.3. აიპ–ის უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომლის დროსაც აიპ–ი წარდგენილი იქნება თავმდებლის, აგენტების, ნდობით აღჭურვილი პირების, კონტრაქტორებისა და ა.შ სახით და/ან მეშვეობით, როგორც ერთპიროვნულად ასევე სხვა იურიდიულ თუ კერძო პირებთან ერთად, როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, არ არის აკრძალული ამ ქვეყნის კანონმდებლობით და პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება აიპ–ი მიზნებს, აიპ–ისა და დამფუძნებლის ინტერესებს;

#### 1.4. აიპ-ის აგრეთვე უფლება აქვს:

1.4.1. შეიმუშაოს, დამფუძნებელს შესათანხმებლად წარუდგინოს და დამფუძნებლის თანხმობით დაამტკიცოს საკუთარი ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი. ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით დაამტკიცოს საქმიანობის შინაგანაწესი და სამსახურეობრივი ინსტრუქციები;

1.4.2. ააშენოს, შეიძინოს, გაასხვისოს, იჯარით აიღოს და გასცეს აიპ-ი საკუთრებაში არსებული ყველა სახის უძრავი და მოძრავი ქონება, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

1.4.3. მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სახის პროექტების დაფინანსებასა და განხორციელებაში;

1.4.4. განახორციელოს სხვა ორგანიზაციებისა და საწარმოების წარმომადგენლობა საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ;

1.5. აიპ-ი თავის სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, საჭიროების შემთხვევაში კი აუცილებელ ლიცენზირებისა და ნებართვის საფუძველზე.

2. თავისი მიზნების განსახორციელებლად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კანონით დადგენილი წესით:

- ა) წარმართავს მუშაობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
- ბ) ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან.
- გ) ფლობს, იძენს და განკარგავს ქონებას.
- დ) შეიძლება იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო სასამართლოში.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს შეუძლია განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, რაც არ იკრძალება საქართველოს კანონმდებლობით, ატარებს დამხმარე ხასიათს, საქმიანობიდან მოგება უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების განხორციელებას.

#### მუხლი 3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მმართველი ორგანოები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს ხელმძღვანელობს დირექტორი (შემდგომში დირექტორი), რომელსაც ნიშნავს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2. დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, საწესდებო მიზნების მისაღწევად;

ბ) ხელს აწერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ოფიციალურ, მათ შორის ფინანსურ დოკუმენტებს;

გ) წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს სხვა პირებთან ურთიერთობაში;

დ) ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე საკრებულოს თავმჯდომარის და გამგებლის წინაშე.

ე) საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით ამტკიცებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შინაგანაწესს და სხვა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მართვისათვის საჭირო დებულებებს, საშტატო ნუსხას, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ გასაცემი დიპლომების, მოწმობების ან/და სერთიფიკატების ფორმებს, სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მომსახურე პერსონალს.

ვ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და კანონით აუკრძალავ სხვა ფუნქციებს.

3. დირექტორი თავისი უფლებამოსილების შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს.

4. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, დირექტორის დავალებით, მის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ერთ-ერთი თანამშრომელი.

5. დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის, უფლებამოსილების გადამეტების ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია საკრებულოს თავმჯდომარეს. ასეთ შემთხვევაში ერთი თვის ვადაში ინიშნება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ახალი დირექტორი.

#### **მუხლი 4. აიპ-ი საქმიანობის კონტროლი**

1. საჭიროების შემთხვევაში დამფუძნებელი ნიშნავს აუდიტორს (შიდა აუდიტორს), რომელიც აიპ-ი საქმიანობას აკონტროლებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

2. აიპ-ი საფინანსო საქმიანობის კონტროლისათვის აიპ-ი იწვევს დამოუკიდებელ აუდიტორს სულ ცოტა წელიწადში ერთხელ;

3. სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოები აიპ-ი საქმიანობას აკონტროლებენ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

#### **მუხლი 5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონება**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს შენობები, ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი აქციები და მოძრავი ქონება რაც



ესაჭიროება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად;

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონება იქმნება სხვადასხვა შენატანების, პირთა შემოწირულობებისაგან, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებიდან.

#### მუხლი 6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტა

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია და ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

#### მუხლი 7. დამფუძნებელი

„ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო“

საიდენტიფიკაციო კოდი 243908848

მისამართი: ქ. ხაშური, გალაკტიონ ტაბიძის ქ N2

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე



#### მუხლი 8. დირექტორი

„ხაშურსერვისი“

დირექტორი დავით გელაშვილი ([gelashvilidavid2@gmail.com](mailto:gelashvilidavid2@gmail.com)), დაბადებული ქ. ხაშურში, 16.07.1962 წელს. მცხოვრები ქ. ხაშურში, წმინდა ნინოს ქ. N94, პირადობის მოწმბა Nდ1159121, პირადი N57001000197 (გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხაშურის სამსახურის მიერ 08.10.2008 წ.);

აიპ-ი „ხაშურსერვისი“-ს დირექტორი

დავით გელაშვილი